



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი
თბილისი

ქ.

დისციპლინური საქმე №185/17

-- -- და -- -- 2017 წლის 27 ოქტომბრის №-- და -- -- 2017 წლის 13 დეკემბრის №-- საჩივრების საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №185/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2017 წლის 27 ივლისს, ისე, რომ სასამართლოს მოპასუხე

მხარის მიერ შეტანილი შესაგებელი არ ჰქონდა მხარისათვის გადაცემული, გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. შესაგებლის გადაუცემლობით მხარეს შეეზღუდა მოპასუხის პოზიციაზე წვდომის კანონიერი უფლება.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში არ გაუგზავნა დასაბუთებული გადაწყვეტილება. 2017 წლის 19 სექტემბერს მხარემ განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა. სატელეფონო საუბრის დროს მოსამართლის თანაშემწემ მხარეს აცნობა, რომ გადაწყვეტილება არ იყო მზად. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჩივრის შემოტანის შემდეგ გადაეცა. ამასთან, სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში შეტანის მიუხედავად, მოსამართლე -- საქმე -- სააპელაციო სასამართლოში არ გადააგზავნა დადგენილ ვადაში, რითაც ხელს უწყობს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 13 მაისს -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირი -- -- და მოითხოვა 2016 წლის 05 თებერვლის №-- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 13 აპრილის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 11 იანვრის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; -- -- სადავო ქონების მესაკუთრედ აღიარება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განჩინებით (მოსამართლე-- --) მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 7 დღე. კერძოდ, დაევალა მოპასუხეთა წრისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

2016 წლის 15 ივნისს -- საქალაქო სასამართლოს დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- საქალაქო სასამართლოში მესამე პირმა -- -- შესაგებელი წარადგინა 2016 წლის 04 ივლისს, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2016 წლის 04 ივლისს. აღნიშნული შესაგებლები მოსარჩელე -- -- გაეგზავნა 2016 წლის 06 ივლისს და ჩაბარდა 2016 წლის 08 ივლისს.

2016 წლის 13 ივლისს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხე. მოპასუხედ მიუთითა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ქვემო ქართლის რეგიონალური ოფისი.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი, მოპასუხეების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ქვემო ქართლის რეგიონალური ოფისის მიმართ, მესამე პირი -- --, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა -- საქალაქო სასამართლოს.

--საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე-- --) ადმინისტრაციულ საქმეზე №-- მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 16 თებერვალს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალურმა ოფისმა -- საქალაქო სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 18 აპრილს. ხოლო მესამე პირმა -- -- 2017 წლის 19 აპრილს. აღნიშნული შესაგებლები -- -- წარმომადგენელ -- -- გაეგზავნა 2017 წლის 24 აპრილს. კურიერის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, 2017 წლის 25 აპრილსა და 27 აპრილს მისამართზე, -- -- --, არავინ დახვდა, შესაბამისად, გზავნილი დარჩა ჩაუბარებელი. 2017 წლის 01 მაისს შესაგებლები გაეგზავნა -- -- წარმომადგენელ -- -- და გზავნილი ჩაბარდა -- -- (ორგანიზაციის წარმომადგენელს).

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 31 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებით მიმართა მესამე პირმა --.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 02 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე-- --) მესამე პირის -- -- წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 19 სექტემბერს -- საქალაქო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მოთხოვნით მიმართა -- -- წარმომადგენელმა -- --.

დასაბუთებული გადაწყვეტილება -- -- წარმომადგენელ -- -- გაეგზავნა 2017 წლის 30 ოქტომბერს და ჩაბარდა 31 ოქტომბერს.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 08 ნოემბერს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2017 წლის 15 ნოემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) აპელანტს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2.2. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2016 წელს მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 301 საქმე (მათ შორის 147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე), საიდანაც დაასრულა 229 საქმე (მათ შორის 124 სამართალდარღვევის საქმე) (76%); 2017 წელს წარმოებაში ჰქონდა - 239 საქმე, დაასრულა 190 საქმე (79.4%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 14-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე: ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე (განცხადებაზე) და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

დადგენილია, რომ მესამე პირმა -- -- და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შესაგებელი -- საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 04 ივლისს. აღნიშნული შესაგებელი მოსარჩელეს გაეგზავნა 2016 წლის 06 ივლისს და ჩაბარდა 2016 წლის 08 ივლისს. დაზუსტებულ სარჩელზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალურმა ოფისმა შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 18 აპრილს, ხოლო მესამე პირმა -- - 2017 წლის 19 აპრილს. აღნიშნული შესაგებლები -- -- წარმომადგენელს გაეგზავნა 2017 წლის 24 აპრილს. კურიერის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, 2017 წლის 25 აპრილსა და 27 აპრილს მისამართზე, -- -- --, არავინ დახვდა, შესაბამისად, გზავნილი დარჩა ჩაუბარებელი. 2017 წლის 01 მაისს შესაგებლები გაეგზავნა -- -- წარმომადგენელ -- -- და გზავნილი ჩაბარდა -- -- (ორგანიზაციის წარმომადგენელს).

მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს შესაგებელი რამდენჯერმე გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა 2017 წლის 01 მაისს. შესაგებლის ჩაბარების

შემდეგ საქმეზე სასამართლო სხდომები გაიმართა 2017 წლის 06 ივლისსა და 17 ივლისს, ხოლო 27 ივლისს საქმეზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. კანონმდებლობა წარმომადგენლისათვის უწყების/გზავნილის ჩაბარებას უშუალოდ მოპასუხისათვის გზავნილისა თუ უწყების ჩაბარების ტოლფასად მიიჩნევს. წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, მხარეს რომელიც ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას ან არ სურს საქმის განხილვაში პირადად მონაწილეობის მიღება, მიეცეს შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები ადვოკატის/წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, იმ პირობებში როდესაც შესაგებელი გაეგზავნა და ჩაბარდა მოპასუხის წარმომადგენელს, მოსარჩელეს და მის წარმომადგენელს ქონდათ საკუთარი პოზიციის მომზადების შესაძლებლობა.

საჩივრის ავტორები ასევე, მიუთითებენ დასაბუთებული გადაწყვეტილების გაგზავნის ვადის დარღვევაზე. განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2017 წლის 30 ოქტომბერს და ჩაბარდათ 31 ოქტომბერს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადის გასვლიდან 2 თვისა და 20 დღის შემდეგ, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა მოსამართლის დატვირთვის გათვალისწინებით 2 თვე და 20 დღე არ წარმოადგენს იმ სახის ვადის დარღვევას, რომლისთვისაც მიზანშეწონილად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული

გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. ამდენად, ამ შემთხვევაში მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება.

რაც შეეხება, სააპელაციო საჩივრის გადაგზავნის ვადის დარღვევას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო საჩივარი მხარემ წარადგინა 2017 წლის 08 ნოემბერს, ხოლო -- სააპელაციო სასამართლოში საქმე შევიდა 2017 წლის 15 ნოემბერს. ამდენად, წარმოდენილი მასალების თანახმად, მოსამართლის მიერ საქმის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის ვადის დარღვევა არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №185/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმადლესი საბჭოს მდივანი**